

**საქართველოში ყვარელის წალეკვის სტიქიური
ეკოლოგიური კატასტროფის რისკის პრევენცია,
მდინარე დურუჯის კალაპოტში ღვარცოფების
შეკავებისა და თიხაფიქალების ნატანის
უტილიზაციით ინოვაციურ საშენ მასალაებად**

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

საქართველოში ყვარელის წალეკვის სტიქიური
ეკოლოგიური კატასტროფის რისკის პრევენცია,
მდინარე დურუჯის კალაპოტში ღვარცოფების
შეკავებისა და თიხაფიქლების ნაბანის
უტილიზაციით ინოვაციურ საშენ მასალეზად

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორი: თამაზ ვაშაკიძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორი: თამაზ ვაშაკიძე

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პროექტის მიზანია: საქართველოში მდ. დურუჯის კალაპოტში გახშირებული ღვარცოფებით, ყვარლის ნალექვის რისკის პრევენცია და შერბილება.

მიზნის განხორციელების გზაა: მდ. დურუჯის კალაპოტში მთებიდან წამოსული ღვარცოფების ინოვაციური ტექნოლოგიებით შეკავება და ნატანის უტილიზაცია საშენ მასალებად;

მოსალოდნელი შედეგებია: მდ. დურუჯის კალაპოტში გახშირებული ღვარცოფებით ყვარლის ნალექვის სტიქიური ეკოლოგიური კატასტროფის რისკის შემცირება და ახალი ენერგოეფექტური საშენი მასალების წარმოების ათვისებით, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

თიხაფიქალი საქართველოში პრობლემის შემქმნელი ქანია!

კავკასიის ქედზე „კლიმატის დათბობის“ გამო მთების ეროზია-დაშლის პროცესები დაჩქარდა. წარმოქმნილი მენყერული მასები, ნადნობი თოვლის/წვიმის დახმარებით, მუდმივად ანუ განახლებადად ჩამოდის და გროვდება მდ. დურუჯის ხეობაში. „ეკოგენურად განახლებადი“ ნაშალი ქანების ნატანის წლიური რაოდენობა 0,5 მლნ მ³ აღწევს. ამჟამად დაგროვილია 15 მლნ მ³-ზე მეტი ნატანი, რაც არღვევს რეგიონის ბუნებრივ წონასწორობას, ქმნის ყვარლის ნალექვის რისკს – ეკოლოგიურ პრობლემას, რადგან ნატანი და დაგროვილი მასის დონე უკვე 10 მ-ით აჭარბებს ყვარლის გაშენების დონეს.

წინასაპროექტო კვლევებით დადგინდა, რომ ყვარელთან დაგროვილი „ეკოგენურად განახლებადი“ ნატანი ასპიდურ თიხაფიქალებს მიეკუთნება და მისგან, შესაბამისი დამატებითი კვლევების ჩატარების შემდეგ ეკოეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიებით, მოსალოდნელია მივიღოთ:

- ცემენტ/ბეტონის სიმტკიცის/სულფატმედეგობის გამზრდელი დანამატ – მოდიფიკატორი;
- ენერგოეფექტური მსუბუქი თბოსაიზოლაციო სამშენებლო მასალები (მათ შორის კერამზიტი).

საქართველოში შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წ. შეადგენს 14.0 მილიარდ აშშ დოლარს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონში), მაქსიმალურად უნდა მოხდეს მდიდარი წიაღისეული რესურსის, მათ შორის ყვარელთან დაგროვილი თიხაფიქალების სწორად, ოპტიმალურად და დროულად გამოყენება, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიებით, მიდგომებითა და გადანყვებილებით.

ყვარელთან დაგროვილი 20 მლნ მ³ ნატანისგან უნდა გაიწმინდოს მდ. დურუჯის კალაპოტი და გამოტანილი მასა უნდა გადაიქცეს პროდუქტად, რითაც მოიხსნება

ყვარლის წალეკვის რისკის პრობლემაც და იმავდროულად დამზადდება მაგალითად, 1,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კავკასიის რეგიონულ ბაზარზე მოთხოვნადი სამშენებლო მასალები: ენერგოეფექტური მსუბუქი თბოსაიზოლაციო პატარა ფილები და ბლოკები, კერამზიტი, საცემენტე მინერალური დანამატ – მოდიფიკატორი.

შესაბამისი სამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მიზანმიმართული და გაანგარიშებული ქმედებებით შესაბამისი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვით, „ყვარლის ეკოლოგიური რისკპრობლემა“ შეიძლება გადავაქციოდ სამშენებლო პროდუქციის წარმოების, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყაროდ.

მეცნიერულად დასაბუთებული ქმედითი მოქმედებები იძლევა საშუალებას, სამშენებლო სფერო ენერგო და ეკოეფექტური ტექნოლოგიებით, იაფი ნედლეულის — „ეკოგენურად განახლებადი“ თიხაფიქლის გამოყენებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობ საკვანძო სექტორად იქცეს.

მსოფლიოს ერთიანი ეკოსისტემის ბალანსის დარღვევამ განაპირობა სერიოზული კლიმატური ცვლილებები და სტიქიურ უბედურებებთან გამკლავება, საზოგადოების დაცვისა და გადარჩენის უზრუნველყოფა გლობალურ პრობლემად იქცა. საქართველოში „დურუჯის ხეობის პრობლემა“ ამ გლობალური პრობლემის ნაწილია. ამ პრობლემის გადაჭრის პროექტი შემოთავაზებული პოლიტიკურ დოკუმენტში, სათანადო ადაპტაციური კვლევების ჩატარების შემდეგ, აუცილებლად დაინტერესებს ანალოგიური პრობლემების მქონე ქვეყნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო მონაცემებით, თიხაფიქალები და მათგან წარმოებული სამშენებლო მასალები ანტირადიაციული თვისებებითაც გამოირჩევა, რაც მეტად მნიშვნელოვანია საერთო რადიაციული ფონის აწევის პირობებში და ამ პროდუქციის ისეთ რეგიონებში ექსპორტისთვის, სადაც ატომური ელექტროსადგურების ავარიების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები მიმდინარეობს, რაც კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება ჩასატარებელი (მაგ. ჩერნობილი, ფუკუშიმა).

პროექტის პირველი მიმართულებაა მდ. დურუჯის კალაპოტში ღვარცოფის პრევენციის ღონისძიებების ჩატარება, ეკოეფექტური დამცავი სისტემის პირველადი პროექტისა და მისი განხორციელების ბიზნესგეგმის შემუშავება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

პროექტის მეორე მიმართულებაა თიხაფიქალებიდან მსუბუქი თბოსაიზოლაციო სამშენებლო მასალების წარმოება, საწარმოს პირველადი პროექტისა და მშენებლობის ბიზნესგეგმის შემუშავება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

პროექტის მესამე მიმართულებაა მდ. დურუჯის თიხაფიქლებიდან, ევროსტანდარტ EN 197-1-ით ნორმირებული ცემენტების (CEM II/A-Q და CEM II/B-Q) – „პუცოლანური

პორტლანდცემენტის“ წარმოება, საქართველოსთვის ადაპტირებული მინერალური დანამატის — გამომწვარი თიხაფიქალის მიღების ტექნოლოგიის შემუშავება, სანარმოს პირველადი პროექტისა და მშენებლობის ბიზნესგეგმის შექმნა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

პროექტის მეოთხე მიმართულება ითვალისწინებს ენერგოეფექტური საშენი მასალის – კერამზიტის (Haydite or Expanded clay shale) სანარმოს პირველადი პროექტისა და მშენებლობის ბიზნესგეგმის შემუშავებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge